საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ორი წელი

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის (გაზეთი) ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 84 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 84

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაპიტალიზმის არსებობა აუცილებლად მოითხოვს, რომ ხალხის უდიდეს ნაწილს არავითარი წარმოების საშუალება არ მოეპოვებოდეს, ამისავე მზგავსად მამულიშვილურ სიყვარულს პსიხოლოგიურად მხოლოდ სხვის სამშობლოს უფლებებისადმი უპატივცემლობა ხდის შესაძლოთ, რომელსაც თვით ჟორესი სახელად განკერძოების სულს უწოდებს. და თუ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა მართლა უნდა „ყველა ნებანი გაანთავისუფლოს“, ის სამშობლოს იდეაზე მაღლა უნდა დადგეს. ჟორესი რესტავრაციის დროინდელ გამოჩენილ პუბლიცისტს არმან კარრელს იხსენიებს, რომელმაც იმდენი სიმამაცე გამოიჩინა, რომ თავის სამშობლოს წინაალმდეგ წავიდა, როცა მისმა სამშობლომ ისპანიასთან უსამართლო ომი დაიწყო. ამას შეიძლება ისიც მიუმატოთ, რომ 1863 წ. პოლონეთის რევოლიუციის დროს, რამდენიმე რუსი აფიცერი აჯანყებულ პოლონელების მხარეს გადავიდენ, რადგანაც არ უნდოდათ, რომ მეზობელ ერს, რომელიც თავისუფლებისთვის იბრძოდა, ჯალათად გახდომოდენ. მე ესეთი საქციელი გმირულ ღვაწლათ მიმაჩნია— ეს მაგალითები საფრანგეთის და რუსეთის ერს სახელს უკეთებს: მაგრამ პატრიოტის თვალით რომ შევხედოთ, ეს ღვაწლი დიდათ სამარცხვინო დანაშაულია—სამშობლოს ღალატია“.

გ. პლეხანოვი. „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“ (გვ. 8—9).

## სანაქებო ნეიტრალობა.

ერთ ყარაჩოღელს კითხეს,—ნეიტრალობა რა არისო. მან ასე განმარტა: მე შუა ლოგინზე ვწევარ; ერთი კაცი მარჯვნით მიწევს და მეორე მარცხნით. ჩვენ ერთი საბანი გვახურავს; მარცხნით მწოლარე თავისკენ იწევს საბანს,—მარჯვნით მწოლარეს სცივა. მე კი მუდამ მთბილა და საბნის ბლაუჯიც არა მჭირდებაო.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა მეტათ ხელსაყრელია და შეიძლება ამის მსგავსი რამ პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც ხშირათ საჭირო და აუცილებელიც იყოს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ კათოლიკი და ორტოდოქსი რელიგიოზურ დოგმატების გამო ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ. რა ესაქმება ამ დავაში რევოლიუციონერებს: მას არც ერთის ღმერთი სწამს და არც მეორესი. ქვა და კაკალივითაც გამოსწორებულანო, იტყვის ის, ან უკეთესს იზამს, თუ ორივე მებრძოლს ცხოვრების ასპარეზიდან დაიფრენს.

მაგრამ ასეთი ნეიტრალური მდგომარეონა რეალურ ცხოვრებაში მეტათ იშვიათი მოსანახავია. პირიქით, როდესაც ბრძოლა ორ მოვლენას შორის ცოტათ თუ ბევრათ მასიურ ხასიათს იღებს, მასში დაინტერესებული ხდება მთელი საზოგადოება. გინდა არ-გინდა, ან ერთ მებრძოლ მხარეს უნდა ამოუდგე გვერდში, ან მეორეს. ნეიტრალობა—ბრძოლის ველიდან გაქცევაა, სილაჩრეა, ღალატია; ნეიტრალობა ასეთ შემთხვევაში იმ ვიწრო ეგოისტურ ანგარიშზეა დამყარებული, რომ თავიდან აიცდინოს ბრძოლის სიმწვავე, აცადოს ბრძოლის გათავებას და შემდეგ გამარჯვებულს დაუკრას თავი, რომ მით თვისი ნაძრახი სიცოცხლე შეინარჩუნოს.

მეტადრე ძნელია პოლიტიკურ ბრძოლის დროს საზოგადოებრივ კლასთა შორის ატეხილ ქიდილში ნეიტრალობის დაცვა. ეს შესაძლებელია მხოლოთ ისეთი კლასისთვის, რომელიც თავისი არსებობის პირობებით მართლა საშუალო მდგომარეობა უკავია. ასეთი კლასია წვრილი ბურჟუაზია თანამედროვე საზოგადოებაში.

შესაძლოა თუ არა პროლეტარიატის ნეიტრალიტეტი? ერთი ქვეყნის პროლეტარიატი ვერ გახდება ნეიტრალობის მოსარჩლე, როდესაც მეორე ქვეყნის პროლეტარიატი ცხარე ბრძოლაშია ჩაბმული თავის მტერთან. ნეიტრალობა ასეთ შემთხვევაში არ ნიშნავს მარტო ბრძოლის ველიდან გაცლას, ის უეჭველ მოასწავებს მტრის გაძლიერებას.

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში კი სხვანაირი ცნებებია გამეფებული. საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატი, აგერ სამი წელიწადია, დაუღალავათ ებრძვის შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციას, ებრძვის იუდენიჩს, კოლჩაკს, დენიკინს და სხვა შავ გენერლებს, შავი რეაქციის ერთგულ დარაჯებს და ბურჯებს. ამ დროს ქართველი დემოკრატიის სახელით მმართველი პარტია აცხადებს, რომ მისთვის სულ ერთია ლენინი და დენიკი, ამიტომ არც ერთს არ ეხმარება და შორიდან სეირის მაყურებლათ გამდგარი მხოლოთ თავის ნეიტრალობას აქებ ადიდებს.

იქნება მართლა სულ ერთია ამ პარტიისათვის ლენინი და დენიკინი. იქნება მართლა ისეთი ლიბრი ჩამოეფარა მას თვალზე. რომ ვერ არჩევს წითელს შავისაგან? ასეთი შეხედულება ვერაფერი ღირსებაა მისი პატრონის პოლიტიკური გამჭრიახობის, მაგრამ შეიძლება ზოგმა ეს საპატიო მიზეზათაც ჩასთვალოს. ხოლო რას იტყვით მაშინ, როდესაც ყველასათვის აშკარათ სდგას ამ ორი ძალის ჭეშმარიტი ბუნება და მაინც ნეიტრალობას არჩევს დემოკრატიის „ხელმძღვანელი“ პარტია.

სწორეთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ნ. ჟორდანიას მოხსენება სახალხო გვარდიის ყრილობაზე; ის აღნიშნავს, რომ „დღეს ერთი მეორეს უპირდაპირდება ორი ქვეყანა. ერთი ევროპა და მეორე ბალშევიკური რუსეთი“. რომელ მხარეს არის ამ ორ მებრძოლთაგან მოყვანილ სიტყვის ავტორი? არც ერთ მხარეს,—ის ნეიტრალობას არჩევს. თუ გაიმარჯვა პროლეტარიატმა, ხომ რა კარგი. მაშინ ჩვენ ყველა რევოლიუციონერები ვართ, და თუ დამარცხდა პროლეტარიატი, მაშინაც უფრო ადვილათ გადავირჩენთ თავს ბურჟუაზიის მძვინარე რეაქციის დროს. ეს კი გაწირვაა თანამებრძოლის და სწორეთ ასეთ მდგომარეობას პოლიტიკის იდეალათ ხატავს ნ. ჟორდანია და ურჩევს შემდეგშიაც მტკიცედ შერჩეს ამ პოზიციას მშრომელი ხალხი. ეს პოლიტიკა აშკარა ღალატია და მას აშკარათ იცავენ ჩვენში.

## „ჩვენი ხალხი განთავისუფლდა ბალშევიზმისაგან“

„ვერ დაგვაშინებთ“!—შეჰყვირა სტოლიპინმა მე-2 სახელმწ. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. „ჩემი ხალხი არ იზიარებს დამაქცევარ იდეებს კომუნიზმისას, ანარქიზმისას და დარვინიზმისას, ის ერთგულია ტახტის და სამშობლოსი“,—წარა მარა გაიძახოდა ნიკოლოზი ხელმწიფე. მაგრამ ერთხელ დამარცხებულ რევოლიუციამ კვლავ წამოყო თავი და უკვე 1914 წ. პეტერბურგში საქმე ბარიკადების აგებამდე მივიდა. ომმა სხვა დროისათვის გადადვა რევოლიუციის ძლევამოსილი მსვლელობა, მით უფრო ძლიერათ ავარდა მაღლა რუსეთის რევოლიუციის ტალღა და წალეკა არა მარტო სტოლიპინის რეჟიმი, არამედ რეჟიმიც ბურჟუაზიული დემოკრატიის „ჩემმა ხალხმა“ არავითარი ყურადღება და ერთგულება არ გამოიჩინა „ტახტისა და სამშობლოსადმი“, სამაგიეროთ სულით და გულით მიუკედლა ტახტს და სამშობლოს მშრომელთა.

ისტორია არ მეორდება. მაგრამ სიბრმავე და შორსმხედველობის ნაკლებობა სხვა და სხვა ეპოქების და პერიოდების მოღვაწეთა სავსებით. მიემგვანებიან ერთმანეთს.

სახალხო გვარდიის ყრილობაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ შიგნით ჩვენ ახლა მეტად გამაგრებულნი ვართო. და დაუმატა: „შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ერთად ერთი ქართველი ხალხია დღეს, რომელიც განთავისუფლდა მოარული სენისაგან—ბალშევიზმისაგან. ბალშევიზმი ჩვენში დამარცხდა, როგორც იდეიურად, ისე მორალურად და საქართველოს დემოკრატია სრულიად განთავისუფლდა მის იდეებისაგან და გავლენისაგან“.

აუდიტორიის შემადგენლობა და წარჩინებული სახელწოდება პარტიის და ერის მამისა ავალებდა ნ. ჟორდანიას ელაპარაკნა ძველთა-ძველი პატრიარქების ენით, რომლის ყოველი სიტყვა სიბრძნის და სულიწმინდის გავლენის დაღითაა აღბეჭდილი.

მაგრამ არის ზომა, არის საზღვარი, რომლის გადალახვით ჭაღარა სიბრძნეც იქცევა იაფფასიან მკვეხარობათ; სინამდვილის დამახინჯებათ და ხვალინდელი დღის გამოცნობის უუნარობად. ნ. ჟორდანია დიდათ გასცილდა ამ ზომას და ამ საზღვარს. მის დებულებებში მკვეხარობაც არის, დამახინჯებაც, უუნარობაც, მათ აკლია პერსპექტივაც და წინასწარმჭვრეტელობა. მმართველს კი ახასიათებდეს სწორედ ეს თვისებები. ამ თვისებებს მოკლებული დარჩა მეფის ბიუროკრატია—ამიტომაც ის ისტორიის საყასპოზე გაგდებული დარჩა. ეს თვისებები არ აღმოაჩნდა ისტერიკულ „სახელმწიფოებრივ გვამს“ კერენსკის და ის არარაობად იქცა. როცა ნ. ჟორდანია დემოკრატიის ხატთან პირჯვრის წერით, მეტისმეტათ გულკეთილი მეშჩანინის უძირო დარბაისლობით ამცნობს თავის მსმენელთ, რომ „თავის თავად ცხადია, რომ ისეთი დიდი აზრი, როგორც არის სოციალიზმის დღესვე შემოღება, კომუნისტური იდეების დამყარება—ეს დადებითი და წარმტაცი აზრია, მაგრამ სინამდვილეში ეს საშინელება გამოდგა—ის მიზდევს კერენსკის გზას და კიდეც მიიღებს კერენსკის ჯილდოს.

საქართველო ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც განიკურნა და სხვა! სტოლიპინიც კი ამბობდა რომ რუსეთი განიკურნა რევოლიუციისა და სოციალიზმისგანო, როდესაც მან (სტოლიპინმა) შესძლო და სარდაფს ქვეშ ჩარეკა რევოლიუცია და სოციალიზმი. მაგრამ ის მწარედ მოსტყუვდათ. ის მოსტყუვდა მიუხედავათ იმისა, რომ წარმოება აყვავებული იყო, რამაც შეუძლებელი გახადა სამხედრო და ეკონომიურ კრიზისთან ერთად პოლიტიკური კრიზისიც. ეხლა თვეები წლებს მისდევენ, ეხლა ეკონომიურ კრიზისის გადალახვაზე, მის მოსპობაზე მხოლოდ ოცნებობა და ომამდის არსებულ მდგომარეობის მოგონება თუ შეიძლება. და ამ დროს საქართველოში ბალშევიზმის დასამარებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ თავშეუკავებელ ტრაბახობის დროს. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ნ. ჟორდანია უმტკიცებდა თავის აუდიტორიას, რომ ბალშევიზმი მხოლოდ ჩამორჩენილ რუსეთის ავადმყოფობაა, რომ ბალშევიზმი არ შეიძლება დაემყნას „კულტურულ“ ქვეყანასო. ეხლა ის იძულებულია აღიაროს, რომ ეს ჭირი უკვე დაემყნა მთელი ქვეყნის სხეულზე, რომ კომუნიზმის ბაცილები გადაედვა ევროპის მთელ კონტინენტს, მხოლოდ საქართველო გადარჩა, რასაკვირველია, საქართველოს სოციალ-დემოკრატების წყალობით. მაგრამ სად წავიდა პოლონეთი, ლატვია, ფინლიანდია და თვით შეიდემანის გერმანია? იქაც ხომ დემოკრატიის მეუფებაა, იქაც ხომ ზოგ ჩამოთვლილ ქვეყნებში ბრძანებლობს „სოციალისტური დემოკრატია“

ჩვენში ბალშევიზმმა იდეური დამარცხება განიცადა! და ამას ამბობენ სახალხო გვარდიის ყრილობაზე იმ გვარდიის, რომელმაც ძლიერ კარგად იცის თუ როგორი დამარცხება მიაყენა და ეხლაც აყენებს საგანგებო რაზმთან ერთად ბალშევიზმს. მან (გვარდიამ) კარგად იცის, ეს დამარცხება კრიტიკის იარაღით ხდება თუ სამხედრო იარაღით ციხეებით და გადასახლებით. ამას ამბობენ ჯუღელის, ამ საქართველოს მენშევიკების ლაფაუტის თანდასწრებით, რომელიც (ჯუღელი) „მძიმე ჯვარის“ სათაურით მენშევიკების ცენტრალურ ორგანოს საშუალებით ორი წლის განმავლობაში მოგვითხრობს იმას, თუ როგორ ებრძოდა ის საქართველოს მშრომელ ხალხს ასეთი „იდეების“ საშუალებით, როგორიც არის კოლტის სისტემის ტყვიის მფრქვეველების და საველე ზარბაზნების პირისაგან ამოხეთქილი „იდეები“. დაბოლოს ამას ამბობს ის ნ. ჟორდანია, რომელიც 1918 წლის აგვისტოში თბილისის მენშევიკურ ორგანიზაციების კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში იწონებს გლეხების წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციას და ამის სამართლიანობას ასაბუთებს, რასაკვირველია მარქსის სახელით. მიმდინარე წლის ივნისში საქართველომ იხილა ბალშევიზმის იდეური დამარცხება, დამარცხება, როდესაც ქალაქის და სოფლების მშრომელ მასსამ ერთი წუთით ირწმუნა ჩვენი პარტიის „ლეგალიზმი“ და მოაწყდა ჩვენ პარტიულ ბიუროებს, რათა ჩაწერილიყვენ „იდეურათ“ განადგურებულ ბალშევიზმის პარტიაში.

ბალშევიზმა განიცადა მორალური დამარცხება.

ამას ამბობს ის ნ. ჟორდანია. რომელიც იმავე გვარდიელების წინაშე იძულებული იყო აღეარებია, რომ საქართველოში ქურდობა და მექრთამეობა სახელმწიფოს ერთ ერთ საფუძვლათ და მოქალაქეთა ერთად ერთ საკონსტიტუციო გარანტიათ გადაიქცა. და ამას ამბობს იმ დროს, როდესაც ერთად ერთი პარტია, რომლის მორალური ავტორიტეტი არა მიფი და მოგონებაა, რომელიც მიუხედავათ იმისა რომ ის არა ერთხელ დაცლილ სისხლისაგან, მიუხედავათ იმისა რომ გაანადგურეს მისი პარტიული ორგანიზაციები და მსხვილი პროფესიონალურ კავშირები, მიუხედავათ ციხეებისა და გადასახლებისა ეს პარტია სცოცხლობს და განაგრძობს ზრდას, მიუხედავათ იმისა, რომ ორჯელ და სამჯელ გამრავლებულია სისკის დაწესებულებები, მიუხედავათ იმისა რომ გამრავლებულია საგანგებო რაზმის არმიის მთავარ-ანგელოზთა რიცხვი.

კოკოვცევიც ტრაბახობდა შავ-რაზმულ სახელმწიფო დუმაში სოციალისტების იდეური და მორალური დამარცხებით. დეპ. ჩხეიძემ ერთი პატარა პირობა დაუყენა მას: მიეცით ხალხს თავისუფლება არჩევნების დროს მაინც და მაშინ ნახავთ სოციალ-დემოკრატების დამარცხებასო. ეს კოკოვცევის მიმართ თქმული სიტყვები ჩვენ შეგვიძლია გაუმეოროთ მენშევიკებს: შეურიგდით კომუნისტების ლეგალიზაციას საქართველოში და თქვენ დაინახავთ, ბალშევიზმი არ დაშლილა, არ დამღხრალა... პირიქით თქვენ ამას ჩვენი ლეგალიზაციის უმისოთაც დაინახავთ. დროებით შიგნით ჩამალულ — ჩამწყვდეული ბალშევიკური სენი ადრე თუ გვიან ისეთ რეციდივს შობს, რომ დემოკრატიის კოკოვცები და სტოლიპინები სამარადისო—საუკუნო პოლიტიკურ „ოტპუსკს“ მიიღებენ. არ ვიცით მხოლოთ, სად პოვებენ სავანეს, რომელ მხარეს, ვინაიდან „აღმოსავლეთის ფანატიზმი“ არა თუ მარტო დასავლეთის იმპერიალისტებს შეჰმუსრავს, არამედ მთელი დედამიწისასაც.

# საბჭოთა რუსეთის პრესა

## პირველი ნაბიჯები.

როდესაც ჩვენ ვტყობილობთ იმას, თუ რა ღონისძიებას ხმარობენ ყოველ დღე სხვა და სხვა ქვეყნის მუშები საბჭოთა რუსეთის დასაცავათ, ეს ჩვენ ძლიერ გვამხნევებს და ჩვენ ვგრძნობთ ამით, რომ ჩნდება ახალი, ძლიერი მოკავშირე.

ჩვენ ძლიერ ვაფასებთ საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებას. ამასთან ერთად ჩვენ არ შეგვიძლია დავმალოთ, რომ ახლა იწყება მხოლოდ მოძრაობის პირველი ნაბიჯები, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო პოლიტიკაში მუშათა კლასის ბუნების და სურვილების გამოსახატავათ. უპირველესათ ყოვლისა ასეთი მოძრაობისათვის საჭიროა თანდათანობრიობა. ამ მხრივ დაწყებულ მოძრაობას ბევრი ნაკლი აქვს. საკმაოა მოვიგონოთ ამსტერდამის საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირების ცენტრის ყოფა-ქცევა, რომელმაც (ცენტრმა) მოულოდნელათ მოხსნა თეთრ უნგრეთს ბოიკოტი, თუმც არავითარი სერიოზული შედეგებისთვის არ მიუღწევია ისე, ამ გვარივე შთაბეჭდილებას ახდენს ინგლისის „მოქმედების კომიტეტის“ დადგენილება, რომელმაც გადასწყვიტა არ მიმართოს საყოველთაო გაფიცვას, თუ ინგლისი ომს გამოუცხადებს რუსეთს, არამედ შესწყვიტოს მუშაობა მხოლოდ იმ წარმოების დარგებში, სადაც სამხედრო მასალები მზადდება, მოძრაობის ლიდერების ამგვარ ყოფაქცევას ბურჟუაზია არ გაუწევს ანგარიშს, მას იმედი აქვს, რომ ეს ლიდერები საქმით უფრო ნაკლებს გააკეთებენ, ვიდრე სიტყვით ამბობენ, ყოველ საქმეს შესაფერისი ხალხი სჭირდებია. მე-2 ინტერნაციონალის მოღვაწეები, რომლებიც ამდენ ხანს სათავეში ედგენ ინგლისის მუშათა მოძრაობას, საფრანგეთის სინდიკალიზმს და საერთოთ პროფესიონალურ კავშირების ამსტერდამის ცენტრს, ყველაზე უფრო შეუფერებული და გამოუსადეგარი არიან მუშათა კლასის აქტიურ რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელებათ. რომ ასეთი ხელმძღვანელობის იმედი დავიკავოთ ბატონნ ჟუოსა და გენდერსონებისა და სხვებისაგან—ეს იმას ემგვანება, რომ ყოჩისაგან რძეს მოველოდეთ. მუშათა მასსები ბრძოლისაკენ ისწრაფიან, მისი ჯანსაღი პროლეტარული ინსტიქტი უბრძანებს მათ შეტევაზე გადავიდენ ბურჟუაზიულ პრივილეგიების წინაალმდეგ, მაგრამ გათახსირებული ბელადები აკავებენ მასსებს, ასუსტებენ და ანიავებენ მათ ენერგიას. ეს „ბელადები“ აუცილებლათ იქნებიან აღგვილი პირისაგან მიწისა მოძრაობის შემდეგი განვითარებით, მაგრამ ეხლა კი ძალით აკავებენ ამ მოძრაობას და ზოგ შემთხვევაში არარათ აქციეს კიდეც მუშათა

მასსების რევოლიუციონური სულის გამოხატულებები.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მასსა ისეთ გზებს ირჩევს, რომლებზედაც მას აუცილებელი დამარცხება მოელის და ისეთ საშუალებებს ხმარობს, რომლებიც ვერ მიანიჭებენ მას გამარჯვებას.

ასე, მაგალითად, მუშები არ უშვებენ სამხედრო მასალებით დატვირთულ მატარებლებს, ან და უარს აცხადებენ სამხედრო ბარგით დატვირთიან მატარებელი. მაგრამ ბურჟუაზიული მთავრობები, ამ შემთხვევაში ან ატყუილებენ მუშებს, ან და მათ წინაამდეგ ძალას ხმარობენ. იმ დრომდის, სანამ მუშებს ნამდვილი საშუალება არ აქვთ, რომ კანტროლი გაუკეთონ წარმოებას და საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმეს, მანემდის ბურჟუაზიას შეუძლია ისე იმოქმედოს როგორც მას სურს.

არამც თუ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები, არამედ ცენტრალური ევროპის მთავრობა—მაგ. გერმანიის—აბრიყვებს მუშებს და თავის ტერიტორიაზე ატარებს პოლონეთისათვის სამხედრო მასალებს. გაფიცულ მუშების მაგიერ ბურჟუაზია აყენებს უფრო მორჩილ მუშებს ან და ჯარისკაცებს. ერთი სიტყვით, სანამ ძალა უფლება ბურჟუაზიულ მთავრობების ხელშია, მუშების პროტესტს არ შეუძლია საგრძნობი ნაყოფი მოიტანოს, საქმეთ გადაიქცეს. „ბურჟუაზიული „ვასკა“ ისმენს და სჭამს“. რასაკვირველია, ცუდს კარგიც თან მოჰყვება. მუშათა კლასი ბრძოლის პროცესში თანდათან რწმუნდება თავის ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობაში.

როგორც კი მუშათა კლასი მარცხს განიცდის ხოლმე ცუდ ხელმძღვანელობისა და ყალბ მეთოდების გამო, ამ შემთხვევაში მის წინაშე დგება კითხვა თავისი რიგების გასაწმენდათ, რომ ხელმძღვანელ პოსტებიდან განდევნილ იქნენ შეთანხმების მომხრე ელემენტები. ამის გარდა მუშათა კლასის წინაშე დგება ცენტრალური კითხვა—ძალა-უფლების თავის ხელში აღების შესახებ.

მაგრამ ამ დარგში მან ერთი ცდა უნდა მოახდინოს მანამდის, სანამ მუშათა მოძრაობის ეს ძირითადი კითხვა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრებოდეს მის წინაშე.

თითქმის ყოველ დღე ვკითხულობთ, რომ ამა თუ იმ ქალაქში, ამა თუ იმ რაიონში მუშებმა თავის ხელში ძალა უფლება აიღესო. ასე მაგალითად, დღეს ჩვენ ვკითხულობთ (27 აგვისტოს), დანციგში, რომელიც დღეს პანების პოლონეთისათვის სამხედრო იარაღების მიმწოდებელ ბაზათ ითვლება, მუშებმა აიღეს ხელთ ძალა-უფლება, შეადგინეს საბჭოები, გამოუცხადეს პოლონეთს ბლოკადა და სარკინისგზო მოძრაობას კანტროლი დაუნიშნესო. ყველაფერი ეს სწორია და ჩინებულიცაა, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ ეს მოხდა ჯერჯერობით მხოლოდ მარტო დანცინგში. ამ შემთხვევებში, როდესაც მუშები ნაწილობრივ და სპორადიულათ იღებენ ძალა უფლებას ხელში, ისინი უმალ კარგავენ ამ ძალა-უფლებას, სანამ აიღებდენ მას ხელში. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი აუცილებლათ ჩაახშობს დანციგის მუშების ამ ინიციატივას, საქმის დაწყებას. სანამ დანციგის პროლეტარიატი ძალა-უფლებას აიღებდა ხელში, მანამდის მილიერანმა უბრძანა მოკავშირეთა კომისარს, რომ მან ამ ქალაქში ყოველივე საშუალებებით უზრუნველყოს პოლონეთისათვის სამხედრო მასალის მიწოდების საქმე. ეხლა, მუშების მიერ ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ მილიერანს მხარს დაუჭერენ ინგლისისა და შეერთებული შტატებიც—და ამგვარათ დანციგის მუშების ეს გმირული ნაბიჯი დამარცხებულ იქნება. სულ სხვაა, თუ მუშები ძალა-უფლებას ჩაიგდებდა ხელში უმთავრეს სახელმწიფოებში, როგორიცაა, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, თუნდაც ეს არ მოხდეს ერთ და იმავე დროს. მხოლოდ ასეთი საშვალებებით შეუძლიათ მუშებს სრულიათ განახორციელონ თავიანთი მიზნები.

იმ გამოცდილებამ, რასაც ფართო მასსები ღებულობენ მათ ყოველდღიურ ბრძოლაში, აუცილებლათ უნდა მიიყვანოს მუშები ასეთ დასკვნამდის.

და ის მუშათა გამოსვლები საერთაშორისო აქტიურ პოლიტიკის ასპარეზზე და ამ გამოსვლების დიდი მნიშვნელობა, რის მოწამენიც ეხლა ჩვენ ვართ, უმთავრესათ იმაში მდგომარეობს, რომ ეს მუშათა კლასს აყენებს პირდაპირი ბრძოლის გზაზე.

პირველ ინტერნაციონალის დაარსებაშიც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მეფის რუსეთის წინაალმდეგ პოლონეთის სასარგებლოთ მუშათა მოძრაობას. მე-3 ინტერნაციონალი შეაკავშირებს და შემოიკრებს თავის გარშემო ფართო მასსებს საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ დ პანების პოლონეთის წინაალმდეგ საბრძოლველათ, რადგან ეს ბრძოლა იმავე დროს არის მსოფლიო ბურჟუაზიის პოლიტიკის საწინაალმდეგო ბრძოლა, ჩვენ მოწამენი ვართ ამ ბრძოლის პროცესის პირველი ნაბიჯების. რასაკვირველია, იმ რევოლვიუციონურ ხანაში, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით, ეს პროცესი დიდი სიჩქარით გასწევს წინ, განვითარება. მაგრამ ჯერჯერობით კი საბჭოთა რუსეთისა და მსოფლიო რევოლიუციის უმთავრეს დამცველ ძალათ დარჩება რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც უკვე დიდი ხანია გარეკა მოღალატე „ბელადები“ და თავის ხელში აიღო მთელი ძალა უფლება.

ი. სტეკლოვი.

გაზ. „იზვესტია“ № 189.

## მესამე ინტერნაციონალი ევროპაში

### საფრანგეთი.

წერილში კომუნისტების გამარჯვების შესახებ გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიაში, მე გაკვრით მივაქციე მკითხველის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს გამარჯვება უაღრესათ განვითარებულ ქვეყანაში არის იმავე დროს სასტიკი დამარცხება მენშევიკების მიერ შეხანხლული ერთი დებულების, რომლის აზრი მდგომარეობს იმაში, თითქოს ბოლშევიზმი იყოს აღმოსავლეთის ჩამორჩენილობის და საზოგადოთ შეუგნებლობის, უმეცრების ნაყოფი, რომელსაც ევროპაში ნიადაგი არ აქვს და ვერც გაიხარებს.

გარდა ამისა ჩვენთან საბრძოლველათ ზოგიერთმა „სოციალისტებმა“ მთელი „სისტემა“ შეჰქმნეს იმის შესახებ, რომ მაქსიმალისტური სულისკვეთება არის ხვედრი სასოწარკვეთილი მასსებისა დამარცხებულ ქვეყნებში, რომ ანტანტის სახელმწიფოებში ის უძლურია და სხ. ამ უბადრუკმა პოლიტიკოსებმა დაივიწყეს, რომ დღევანდელ პირობებში როგორც დამარცხებულნი, ისე გამარჯვებულნიც სასტიკათ დამარცხებულნი გამოდიან სახალხო მეურნეობის, საზოგადოთ, მატერიალურ და სულიერ კულტურის ნიადაგზე. ამიტომ მთელი მათი თეორია მაქსიმალისტების წინაალმდეგ ახოხოლებული თან და თან მტვრათ მიდის და ამას ხელს უწყობს, მასსების ექსტრემისტული მიდრეკილება ინგლისში, იტალიაში და საფრანგეთში. მე შევეხები ამ უკანასკნელს.

ინტერნაციონალის იმ საერთო ნგრევას, რომლის მოწამე ჩვენ შევიქენით მსოფლიო ომის დროს, თავისი მძიმე ხარჯი გადაუხადა საფრანგეთის მუშათა მოძრაობამაც და ეს როგორც პოლიტიკურმა, ისე მისმა სინდიკალურმა შტომ. საერთო ფერხულმა ჩაითრია პარტიის ოფიციალური უმრავლესობა, რომლის სამი ხელმძღვანელი-კარგა ხანს განისვენებდენ „თავდაცვის“ სამინისტროს წიაღში.

იგივე დაემართა სინდიკალურ ორგანიზაციას, რომლის დაცემის სიღრმე უკუღმა პროპორციონალური შეიქნა იმ მყვირალა, მაღალი „რევოლიუციონური“ ფრაზების, რომელიც შეადგენდა მის დამახასიათებელ თვისებას ომამდი: არც ერთ მუშათა ორგანიზაციას არ აუყენებია „რევოლიუციონური“ ფრაზეოლოგიის მსგავსი კორიანტელი და არც ერთი მასსიური კოლექტივი, არ დაცემულა ისე საფუძვლიანად, როგორც ეს მოუვიდა შრომის საყოველთაო კონფერენციას საფრანგეთში.

ამ ორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები: ნაციონალური საბჭო პარტიის, პერმანენტული ადმინისტრატიული კომისია და პარლამენტის ფრაქცია ისე, როგორც ასეთივე საბჭო და კონფედერალური ბიურო სინდიკატების შეიქნენ, როგორც სხვა ქვეყნებში, ობიექტიურათ მოღალატე ინტერნაციონალური პროლეტარიატის მიზნების და ყურმოჭრილი მონა ნაციონალური ბურჟუაზიის. ოპოზიცია, ასეთი ოფიციალური კურსის მოწინაალმდეგე, შეიქმნა დევნილი როგორც შოვინიზმით გაძლიერებული სახელმწიფოსაგან, ისე თვით პარტიულ და სინდიკალურ ოფიციალურ უმრავლესობათა მიერ, რომლებსაც ამ შემთხვევაში ზურგს უმაგრებდა იგივე სახელმწიფო. ამ ორი ორგანიზაციის „ხელმძღვანელი“ წრეებიდან ბევრი ჩაითრია მურტალმა ვულგარულმა შოვინიზმმა. მათ ოფიციალურ ორგანოებში „ლიუმანიტე“ და „ლიაბატაი“-ში არა ერთხელ გადაუტანიათ: პირველში—ყოფილი კომმუნარის, განსვენებული ედუარდ ვაიანის მკვეთრ კალამს, ხოლო მეორეში—უგზო-უკვლოთ დარჩენილ სინდიკალისტურ მწერლუკებას, საფრანგეთის შოვინისტების მიერ აჩემებული, გერმანელების დამამცირებელთა მიჩნეული პაგრომშჩიკული სიტყვა „ბოშ“.

მარა ყოველისფერს თავის საზღვარი აქვს და ამ შოვინისტურ ვაკხანალიასაც დასასრული მიეცა, ეს ბუნებრივიც იყო. რადგან მილიონობით ახალგაზრდობა სახნავ-სათესს და დაზგას მოჰგლიჯეს, ფრონტებზე სასაკლაოთ გარეკეს; მიიმალა სახალხო მეურნეობა, მისი რთული სისტემა; ხალხი სისხლისგან დაიწურა და ყოველივე ეს—ნაციონალური კაპიტალის სადიდებლათ, მისი ბატონობის გასამაგრებლათ სწორეთ იმ მასსებზე, რომლებიც ამავე კაპიტალისთვის სიცოცხლეს, ესალმებოდენ. ოპოზიცია ქვედა ფენების გადაეცა „მეთაურებს“. ყოფილი პარტიული უმრავლესობა ნელნელა დნებოდა, სანამ ის აშკარათ არ გახდა უმნიშვნელო უმცირესობათ, მისი ადგილი დაიჭირა ეგრედ წოდებულმა „ცენტრმა“ რომლის მემარცხენე ფრთა კომუნიზმისაკენ ეწიკება დღეს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას.

მემარცხენეების კრიტიკის და მასსის სულისკვეთების ზეგავლენით პარტია გამოვიდა მეორე, ყვითელი, ინტერნაციონალიდან, მისმა ნაციონალურმა საბჭომ ხმის დიდი უმრავლესობით უარჰყო ყოფილ მეუმრავლესეთა ლიდერის, რენოდელის, წინადადება, რომ საინფორმაციო მიზნით პარტიის დელეგაცია გაეგზავნა ამ ინტერნაციონალის კონგრესზე წელს ჟენევაში, პარტია აშკარათ გადიხარა კომუნისტური ინტერნაციონალისკენ, გაგზავნა თავისი ამორჩეული ორგანოს სანქციით პარტიის პასუხისმგებელი პირები მოსკოვში და ამასთანავე პარტიული ოფიციალური ორგანო ეწევა ფართო აგიტაციას საბჭოთა სისტემის სასარგებლოთ. რამოდენიმე დღეში უნდა გაიხსნას პარტიის კონგრესი, რომელიც გვეტყვის, დათავდა თუ არა კომუნისტური კრისტალიზაცია პარტიაში თუ ის კიდევ იმყოფება ასე ვთქვათ im Werden, თავის შექმნის პროცესში.

კ. კრედო.

(დასასრული იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

### სათბობი მასალის კრიზისი სომხეთში.

ერევანი, 25 ოქტ. იმის გამო, რომ მთელი წლის შეშის ზაპასი, რომელიც დაგროვილი ქონდა ქალაქის თვითმართველობას, წაიღო გზათა სამინისტრომ მისი საჭიროებისათვის, ქალაქის თვითმართველობამ განაცხადა, რომ სათბობ მასალის უქონლობის გამო მოკლე ხანში შეწყვეტილი იქნება მცხოვრებთათვის პურის მიწოდება.

### სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივები ისპანიასთან,

მოსკოვი, 25 ოქტ. საამშენებლო მუშების სინდიკალის მდივანმა ამხ. გალიმ საუბარში „ეკონომიურ ცხოვრების“ თანამშრომელთან, განაცხადა:

„ისპანია საერთოდ რომ ვთქვათ არ ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც არიან განვითარებული მრეწველობის მხრივ, რომლებსაც უნდათ დიდი ბაზრები. მაგრამ რუსეთთან ვაჭრობის ურთიერთობის აღდგენის პირობები იქ მაინც არის. ერთის მხრივ ისპანიის მრეწველობა დაინტერესებულია შეიძინოს ნედლი მასალა მცირე ვალიუტის ქვეყნებიდან, როგორც რუსეთია და არა ამერიკის ბაზარზედ, როგორც ეს იყო ომის დაწყებამდის· მეორე მხრივ, ომის განმავლობაში ისპანიაში განვითარდა რამდენიმე დარგი მრეწველობისა, რომელსაც ქონდა მიზანი მოკავშირების ჯარის დახმარება, განსაკუთრებით კი საფრანგეთის. ეს მრეწველობა, რომელიც აღორძინდა ომის დროს, დღეს მოკლებულია მუშტრებს და განიცდის ერთგვარ კრიზისს.

ისპანიას შეუძლია გამოიტანოს შემდეგი საგნები: ვაგონები, ავტომობილები, ელექტრონის გაყვანისთვის საჭირო საგნები, ფეხსაცმელები. მანუფაქტურა და საათიაქო საგნები.

რაც შეეხება პოლიტიკურ პირობებს ისპანიაში, შემდეგნაირია, მუშათა მასსების დამოკიდებულება რუსეთთან მტკიცეა. ამის მიხედვით მთავრობა, მიუხედავათ მისი რეაქციონერულ ხასიათისა, საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებაში თავს იჭერს და ამაში გამოიხატება შედარებითი დამოუკიდებლობა ისპანიისა საფრანგეთთან. კიდევ მეტი, ისპანია ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელსაც არ მიუღია ოფიციალური მონაწილეობა რუსეთის ბლოკადაში.

ყველაზე ენერგიული, ნამდვილი მხარის დაჭერა და მოთხოვნა მუშებისა ვაჭრობის აღსადგენათ მტკიცეა, მით უფრო, რომ მრეწველობის რამდენიმე დარგში, რომელიც განვითარდა ომის დროს, დღეს განიცდიან კრიზისს და უმუშევრობას.

### კონტრ-რევოლიუციის კერა.

რეველი, 18 ოქტ. საიდუმლო საბუთების გამოქვეყნებამ უნგრეთის წარმომადგენლების მიერ ვენაში, დაამტკიცა, რომ უნგრეთის მთავრობა ვენაში ეყრდნობა გერმანულ-ავსტრიულ და ჩეხოსლოვაკურ რეაქციას, ის შეიქმნა ევროპის კონტრ-რევოლიუციის კერა და მოყიდვით და პროპაგანდით ის ცდილობდა აღადგინა გაბსბურგების მონარქია.

### კუდაშევის გადაყენება.

ვერხნოუდინკი, 15 ოქტ. ჩიტის გარეშე საქმეთა მინისტრმა „რეიტერი“-ს კორესპოდენტთან საუბარში განაცხადა, კუდაშევის გადაყენება არის ლოღიკური ნაბიჯი, მივიღეთ რა მხედველობაში ფაქტიური წარმომადგენლობის გაუქმებაო.

### მიმოსვლის აღდგენა რუსეთთან.

ვერხნეუდინსკი, 15 ოქტ. რაკი რუსეთს უკვე მოხსნეს ბლოკადა, ორთქმავლის კამპანიამ „უნივერსალ შიპინგ ენდ ტრეიდინგ“-მა გახსნა გზა სიათლის და ვლადივასტოკს შუა პირველი გემი გამოვიდა სექტემბრის გასულს.

### საბერძნეთის არჩევნები.

კონსტანტინოპოლი, 25 ოქტ. რეაქციონერების კანდიდატს, ადმირალ ვუდას, რომელიც ჩავიდა დრამაში, (საბერძნეთში). ბრბო მივარდა და გალახა, აგრეთვე ლინჩის სასამართლოთი გასამართლებას დაემუქრა.

### შეთქმულობა ვენეზილოსის წინაალმდეგ

კონსტანტინოპოლი, 25 ოქტ. ვენეზილოსის წინაალმდეგ მომხდარ შეთქმულობის მონაწილეების პროცესი დაიწყო 12 ოქტომბერს. ბრალდებულების რიცხვში არის პრინცი ანდრეი, შტრეიტი და 16 კაცი კონსტანტინეს მომხრეები.

### სერბიის ფინანსიური მდგომარეობა

კონსტანტინოპოლი, 25 ოქტ. ბელგრადიდან იტყობინებიან: 1919—1920 წ. დეფიციტი უდრის 2 მილიარდ დინარს. 1920—21 წლის გასავალი უნდა იქნეს 3,999,356,543 დინარი, რომლისგანაც 1,120,840,560 დაიხარჯ. ჯარის საჭიროებისათვის.

### საბერძნეთი და ოსმალეთი

ბათომი, 31 ოქტ. გაზეთი „ელეფთეროს პონტოს“ სწერს: უკანასკნელ დროს დადის ხმები, ვითომ ოსმალეთს უნდა დაუახლოვდეს საბერძნეთს.

კონსტანტინოპოლის გაზეთები იტყობინებიან, რომ დიდ ვეზირს ქონდა ბევრჯერ საუბარი ამის შესახებ კონსტანტინოპოლის ბერძნების წარმომადგენლებთანო. მტკიცდება ცნობა იმის შესახებ, სულთანს ძალიან გაახარებს ვენეზილოსის კონსტანტინოპოლში მოსვლაო. ოსმალეთის მთავრობა დადებითად უყურებს ოსმალეთ-საბერძნეთის დაახლოვების საკითხს, რომელსაც მხარს უჭერს აგრეთვე პრესის ერთი ნაწილიც.

მთავრობის პარტიას ურჩევნია ასე საკითხის გადაჭრა ანატოლიის შესახებ.

### ბერძნები ლენინზე.

ბათომი, 31 ოქტომბერი. გაზეთი „ნეაელასი“ რომელიც გამოდის ათინაში, ერთ წერილში, რომლის სათაურია „ახალ იდეის ქვეყნებში“, ლენინზე სხვათა შორის სწერს:

„ლენინი არა მარტო ლოღიკის გამომხატველია, ის არის: ფინანსისტი, სოციოლოგი, მასწავლებელი და მატემატიკი, რომელმაც მოაწყო საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა, ადგილობრივი პირობების მიხედვით. ლენინი ამაზე კიდევ მეტია, ის გული და სულია კომუნიზმის. სხვაფრივ შეუძლებელია ამ კაცის ასეთი ძლიერი მოქმედება მასებზე. ლენინი ცოტა მოლაპარაკეა, ის არ ცდილობს თავისი სიტყვა მხატვრულათ გამოიყვანოს, ის თავის მკაცრი და არავისი არ დამზოგავი ენით, მაინც იზიდავს მრავალ მილიონიან მასებს.

ლენინს შეუძლია თამამად თქვას, რომ მან ჩაუყარა მტკიცე საძირკველ სოციალისტურ შენობას. რაც არ უნდა მოხდეს შემდეგ, კომუნიზმის მთავარმა მაინც მჭიდროთ დააკავშირა თავისი სახელი მომავალ ქვეყანას და დაადვა მძიმე ბეჭედი თავისი პიროვნების შრომის განთავისუფლების ისტორიის ფურცლებზე. ჩვენი საქმე არ არის ის, თუ რა მნიშვნელობა ექნება მსოფლიო ისტორიისათვი ამ რკინის რევოლიუციონერს. ამაზედ მომავალ თაობას ექნება ლაპარაკი.

მაგრამ ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლენინი არის რუსეთის დიდ რევოლიუციისათვის ცეცხლის მფრქვევი ვულკანი. ლენინი არის შეურიგებელი მტერი წარსულ ცხოვრებისა, რომელიც პირდება კაცობრიობას ყველაზე მეტ ლამაზ და ბედნიერ მომავალს.

### აზრები ლიუტფი ფიკრი ბეის მისიაზე

ბათუმი, 31 ოქტ გაზეთი „ელეფთეროს პონტეს“-ი სწერს: „ვაკიტ“,-ი წინაალმდეგია ლიუტფი ფიკრი ბეის მისიის ანგარიში. „თანისუფალ შემთანხმებლების, პარტიამ მოთხოვა სამხედრო სასამართლოს თავჯდომარეს, მიეცა მას სასამართლოში ლიუტფი ფიკრი ბეი.

ოსმალეთის მთავრობა კი ფიქრობს, რომ ამ მისიას დაამტკიცებს მოკავშირეები, რომლის საშუალებათ კონსტანტინეპოლს და ანგორის შუა აღგენილ იქნება მშვიდობიანობაო.

### ცეცხლი კაველში

კონსტანტინოპოლი 25 ოქტ კაველში (საბერძნეთი) გაჩნდა დიდი ცეცხლი რომელმაც მოსპო ქალაქში თუთუნის საწყობები. ზარალი უდრის 8 მილიონ დრახმს.

### მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ

მოსკოვი, 1 ნოემბ. (რადიო). მემარცხენე სოციალისტურმა პარტიამ შვეიცარიაში, ოთხი დღის კამათის შემდეგ დიდი ხმის უმრავლესობით მიიღო მოსკოვის პირობები მესამე ინტერნაციონალში შესასვლელათ.

### ირლანდია დგას აჯანყების წინ.

მოსკოვი, 1 ნოემ. (რადიო). ქალაქ კორკის ლორდმერის სიკვდილის გამო მთელ სამხრეთ ირლანდიაში დიდი მღელვარებაა. რესპუბლიკანელები ფიცს დებენ გადაუხადონ სამაგიერო, ლონდონში მიდიან ირლანდიის საიდუმლო ორგანიზატორები, რათა იქ მოაწყონ აჯანყება.

### ახალი საამრჩევლო კანონ-პროექტი.

ბერლინი, 15 ოქტ. პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა ახალი საამრჩევლო კანონ-პროექტი. ამ კანონპროექტით ერთ დეპუტატს ირჩევს 60 ათასი ამრჩეველი. ახალი პრუსიის სეიმი შესდგება 300 დეპუტატისაგან 410 მაგიერ.

### ამხ. ზინოვიევის მოხსენება გალლის ყრილობის შესახებ.

მოსკოვი. „მე მოვბრუნდი მგზავრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან—სთქვა ამხ. ზინოვიევმა—მაგრამ ამ რეკოგნოსციროვკას სულ სხვა განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან მე ვიმოგზაურე მოწინააღმდეგის ნებართვით და კონტროლის ქვეშ. ამის მიზეზი იმაშია, რომ გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიის საკითხი მთელი გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრს წარმოადგენს. ამ პარტიის მომავალზეა დამოკიდებული მთელი გერმანიის და ევროპის რევოლიუციის ბედი. ყრილობას ჰქონდა გადასაწყვეტი, შევიდენ მესამე ინტერნაციონალში თუ არა.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ყრილობაზე მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენელი, რომ არ დაეშვათ ეს გამოააშკარავებდა იმას, რომ მთავრობა მემარჯვენე ფრთას უჭერს მხარს, რომლის წარმომადგენლები შედიან ბურჟუაზიულ სამინისტროებში. ამ სახით, ეს გააძლიერებდა მემარცხენე დამოუკიდებელთა პოზიციას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს რევოლიუციაში იყო ისეთი მშვენიერი დღეები, როდესაც ჩვენ ძალიან ცოტას ვფიქრობდით ტერრორზე, მაგრამ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა ამაში, ჩვენ მოვტყუვილდით: როცა მყისვე არ მივმართეთ უკუსასტიკეს გადამწყვეტ ზომებს. ჩვენ გავაფრთხილეთ ისინი, რომ რუსეთის, რევოლიუციის გამოცდილება გამოიყენონ, რაც ყრილობის მემარჯვენე ნაწილს მიუღებლად მოეჩვენა.

შემდეგ ზინოვიევი გადმოგვცემს თავის შეხედულებებს გერმანიის მდგომარეობაზე. იქ ცხოვრების ყოველივე სიკეთე ბურჟუაზიის ხელშია; მუშები და მათი ოჯახები დამშეული არიან. მუშების მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია ამ ჟამათ, ვიდრე ომის დრომდის იყო. კომუნისტების წინააღმდეგ ყველა გამოსვლებში უახლოეს და უმთავრესს მონაწილეობას მენშევიკები ღებულობენ და მათ გარშემო მყოფი წრეები. ახლა ვწყობა მრავალ-მილიონიანი კომუნისტური პარტია, რომელიც იქნება გერმანიის მშრომელთა კლასის სურვილთა და მისწრაფებათა ნამდვილი გამომხატველი, სისხლ-ხორცის შემსხმელი.

**კმარა ორპირობა.**

**მოსკოვი, 2 ნოემ. (რადიო).** საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ლონდონში ამხ. კრასინმა მიჰმართა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს კერზონს, რომელშიაც განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი მიისწრაფის რა მშვიდობიანობისაკენ, ჩამოაგდო ზავი ყველა განაპირა სახელმწიფოებთან. ამის მიუხედავათ ამ ტერიტორიებზე გამოჩნდენ პეტლიურას, ბალახოვიჩის და სავინკოვის რაზმები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან მოკავშირეების მიერ. ისინი ემუქრებიან მომავალ მშვიდობიანობას. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ის დაამარცხებს ამ რაზმებს და უნდა დარწმუნდეს, ხომ არ დაეხმარება ინგლისი ამ ნაწილებს.

**საფრანგეთის ნახშირზე მომუშვეების მოთხოვნილება**

**მოსკოვი, 2 ნოემბ. (რადიო).** ნახშირზე მომუშავეების საბჭომ მოთხოვნილება წაუყენა შრომის სამინისტროს რომ შრომის ხელფასი ხუთჯერ მეტათ გადიდებული იქნას ვიდრე ომამდი იყო.

**იჩქარიან გაყიდვას**

**მოსკოვი, 2 ნოემბ. (რადიო).** ვრანგელი, გრძნობს რა თავის უკანასკნელ დღეებს, იჩქარის მიყიდოს რუსეთიდან მოტაცებული პური არა მარტო საფრანგეთს არამედ ინგლისსაც, რომლებსაც მან წინათაც მიყიდა ერთი მილიონი ფუთი ხორბალი.

**„ანკონი“-ს დაჭერის გამო შავ ზღვაზე**

**მოსკოვი, 2 ნოემბ. (რადიო).** საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ლონდონში ამხ. კრასინმა მიმართა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს კერზონს განცხადებით, რომელშიაც მიუთითა იმაზე, რომ იტალიის გემი „ანკონა“,—რომელიც მიდიოდა ნოვოროსისკენ საბჭოთა რუსეთისათვის გაგზავნილ საგნებით დაატყვევა ინგლისის გემებმა და წაიყვანა ბათომში, მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს არ ქონდა შავ ზღვაზე გამოცხადებული ბლოკადა. საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რათა ეს გემი იქმნას განთავისუფლებული და თავისი გზით გაშვებული.

**რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება.**

**მოსკოვი, 30 ოქტ. (რადიო)** რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილემ თავის ნოტაში, რომელიც გადასცა 29 ოქტომბერს პოლონეთის დელეგაციან, შეატყობინა, რომ წინააღმდეგ დროებითი ზავის პირობებისა, პეტლიურას ჯარები რომლებიც პოლონეთის ჯარების ნაწილს წარმოადგენს, უკრაინის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებას განაგრძობენ.

პოლონეთის სარდლობამ ბერდიჩევში საზავო მოლაპარაკების კომისიას პირდაპირ არ უპასუხა, თუ როგორ მოიქცევა იგი იმ შემთხვევაში, თუ პეტლიურას ნაწილები ომს განაგრძობენ. პოლონეთის კამისია ვალდებული იყო ეჩვენებია პეტლიურას ნაწილების შტაბების მდებარეობა, მაგრამ განაცხადა, რომ დროებითი ზავი მხოლოდ პოლონეთის ფრონტებს შეეხებათ, 24 ოქტომბერს პოლონეთის წარმომადგენელს პოლკ. ოლდოსკის შეეკითხენ კასრულობენ ისინი პასუხის მგებლობას პეტლიურის ჯარების მოქმედებაზე თუ არა და არის, თუ არა, პოლონეთის მოკავშირე პეტლიურა. წარმომადგენლობამ არც ამაზე გასცა პასუხი.

შემდეგ პოლონეთის დელეგაციამ განაცხადა რომ პეტლიურას ჯარებმა არ შეასრულეს ბრძანება, და ამისათვის პეტლიურის ჯარების წინააღმდეგ მოქმედება არ იქნება დროებითი ზავის დარღვევათ. საბჭოთა დელეგაციამ მიუთითა, რომ პოლონეთის სარდლობა თავის მოქმედებით ხელს უშლის პოლონეთ-უკრაინის ფრონტზედ სამხედრო მოქმედების შეჩერებას. რუსეთ და უკრაინას არ შეუძლიათ დაეთანხმონ პოლონეთის სარდლობის განცხადებას, რითაც ისინი ინთავისუფლებენ თავს ამ ვალდებულებისაგან და ყოველგვარ პასუხისგებას ის აკისრებს პოლონეთის სარდლობას და პოლონეთის მთავრობას. პოლონეთის დელეგაციის მოქმედება ეჭვს უბადებს საბჭოთა მთავრობას, ვითომც პოლონეთს სურდეს მუდმივი ზავი და ეს ხელს უშლის საბოლოო ზავის მოლაპარაკებას. საბჭოთა დელეგაცია გამოთქვამს სურვილს, რომ პოლონეთის მთავრობა მიიღებს ზომებს, რათა შეწყვეტილ იქმნას სამხედრო მოქმედება და პოლონეთის და პეტლიურას ჯარები უკან წაყვანილ აქმანენ სახელმწიფო საზღვრებამდის.

**მეცნიერება გერმანიაში.**

**ნაუენი, 2 ნოემბერი.** გერმანიის სამეცნიერო აკადემიამ, უნივერსიტეტებმა, პოლიტეხნიკუმებმა და სხვა ხელმძღვანელ სამეცნიერო საზოგადოებებმა, რომლებიც დღევანდელი გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის გამო ერთნაირ პირობებში არიან, მოაწყვეს „გერმანიის მეცნიერების გაერთიანება საჭიროებისათვის“. ამ კავშირს პირველი სხდომა ჰქონდა ბერლინში 30 ოქტომბერს. კავშირმა გამოჰყო 19 ქვე-კამისია საკუთარი ბიუჯეტით. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პრუსიის ყოფილი განათლების მინისტრი—შმიდტი.

**ლოზოვსკი დამოუკიდებლების ყრილობის შესახებ.**

**მოსკოვი, 2 ნოემბ. (რადიო).** რუსეთის პროფესიონალურ კავშირების დელეგაციის თავმჯდომარე ლოზოვსკი, რომელიც იყო გერმანიაში, აქვეყნებს მოსკოვის „პრავდა“-ში გალეში მომხდარ ყრილობის შთაბეჭდილებებს. ის თვლის ამ ყრილობის დადგენილებებს დიდ მნიშვნელობათ და ისტორიული ფასი გამოიხატება მუშების და გლეხების გამემარცხენებაში. ახლა დრო შექმნის იქ დიდ კომუნისტურ პარტიას. პროფესიონალურ ორგანიზაციების საკითხში ჯერ კიდევ არ არიან გამორკვეული ევროპის კომუნისტური პარტიები. ყრილობამ უჩვენა მაგალითი დანარჩენ ქვეყნის პარტიებს, რომ აუცილებელია არჩევანი ბალშევიზმის და ან მენშევიზმის.

**პოლონეთ-ლიტვის უთანხმოებანი**

**ლიონი, 2 ნოემ. (რადიო).** ფრანგული პრესა იტყობინება, რომ მინისტრთა საბჭომ მიიღო ხალხთა ლიგის წინადადება, რათა პოლონეთის და ლიტვის შორის მდებარე სადავო ადგილების შესახებ პლებისციტი მოახდინონ.

**ეკონომიური მდგომარეობა გერმანიაში**

**ნაუენი, 2 ნოემ. (რადიო).** ყოფილი მინისტრი გოტჰაინი უარყოფს გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-ში საფრანგეთის ცნობებს გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის სასურველ ნიადაგზე დგომას. გოტხეირი უთითებს იმაზე, რომ ნახშირის უქონლობის გამო მრეწველობამ გერმანიაში ძალიან დაიწია. რკინის წარმოებამ 20 მილიონ ტონიდან დაიწია 6 მილიონამდის. საქსოვ მრეწველობაში მუშაობს მხოლოდ დაზგების მეექვსედი, რაც ძალიან აძვირებს წარმოებისათვის გასავალს. 600 ათასი გერმანელი მუშა უმუშევრათ არიან. 4 მილიონი მუშა-მოსამსახურეები მუშაობენ მხოლოდ ორ ან სამ დღეს კვირაში. გოტხეირი დაასკვნის: გერმანიას სურს, რათა მთელი ევროპის ნახშირი განაწილდეს საერთაშორისო მომისიის, რომელშიაც იქნებიან აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნების წარმომადგენლები.

**საბერძნეთში.**

**ლიონი, 2 ნოემბერი.** 7 ნოემბრისათვის დანიშნული საბერძნეთის პარლამენტის არჩევნები გადაიდო 14 ნოემბრისათვის. კაროლ ალექსანდრეს დასაფლავება მოხდა 28 ოქტომბერს, რასაც დაესწრო მრავალი ხალხი. საფრანგეთის ადმირალმა დიუშანელთა საფრანგეთის ფლოტის სახელით ძვირფასი გვირგვინი დასდო კუბოზე. ასევე მოიქცა მილიერანის წარმომადგენელი—საფრანგეთის ელჩი. და საფლავების პროცესიაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მეზღვაურთა რაზმა.

**ვერ წყნარდებიან.**

**ლიონი, 2 ნოემბერი.** საფრანგეთმა და ბელგიამ აცნობეს ხალხთა ლიგის საბჭოს მათი სამხედრო მზადებაზე, რათა ამით შეუძლებელი გახდეს გერმანიის მიერ ხელ ახლა თავდასხმა.

**გერმანიის დეფიციტი.**

**ნაუენი, 2 ნოემ.** „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგის“ გამოანგარიშებით გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 67 მილიარდ მარკას. 41 მილიარდი მარკის დეფიციტი გამოწვეულია საზავო პირობების ასრულების გამო. სხვა არა-ჩვეულებრივი გერმანიის ხარჯები უდრის 30 მილიარდ მარკას. მხოლოდ მოკავშირეთა ჯარების შენახვა მდ. რეინზე გერმანიას უჯდება 15 მილიონი მარკა. მოკავშირეთა ჯარებისათვის ბინის აშენება დაუჯდება გერმანიას 505 მილიონი მარკა. გერმანიის დანგრეულ კოლონიების აღდგენა დაჯდება 255 მილიონი მარკა. გერმანელ მცხოვრებლების ელზას ლორენიდან და პოლონეთიდან გადმოყვანა დაჯდება 171 მილიონი მარკა. სპას კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმათ განიარაღება 200 მილ. მარკა, ზღვების გაწმენდა ნაღმებისაგან 241 მილ. მარკა. საზღვარ-გარეთ მცხოვრებ ნემეცებისათვის მისაცემი ფული ჩამორთმეულ ქონების ღირებულების ასანაზღაურებლად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

# საბჭოთა რუსეთში

**ტორფის დამზადება.**

**მოსკოვი, 25 ოქტ.** 1920 წელს დამზადებულია ტორფი მილიონ ნახევარი ფუთით მეტი ვიდრე ეს იყო გასულ წელს. 1919 წელს დამზადებული იყო 5 მილიონი და 400 ათასი ფუთი.

**სათადარიგო ნავთი.**

**მოსკოვი, 25 ოქტ.** ნავთის მთავარ კომიტეტის ცნობით 18 სექტემბრამდის სათადარიგო ნავთის პროდუქტები იყო სულ მოსკოვს, პეტროგრადს და მდ. ვოლგის ნავთსადგურებში 51 მილიონი და 982 ათასი ფუთი. 18 სექტემბერს გზაში იყო გამოსაგზავნათ სულ 32 მილიონი და 90 ათასი ფუთი ნავთის პროდუქტი.

**ფრანგულ მხატვრულ ნაწარმოებების გამოფენა.**

**მოსკოვი, 25 ოქტ.** ოქტომბრის დასაწყისს მოსკოვში გაიხსნა 1820 7870 წლამდი ფრანგული მხატვრული ნაწარმოებების გამოფენა.

**საუკეთესო საჩუქარი ფრონტს.**

**მოსკოვი, 1 ნოემბ. (რადიო).** 12 ოქტომბერს კურსკო-პერმის რკინის გზის დეპომ, მემანქანეების, თანაშემწეების და კაჩეგარების ზედმეტი შრომით გამოუშვა ერთი ორთქლმავალი ფრონტის საჩუქრათ.

**სრულიად რუსეთის მეტალურგთა ყრილობა.**

**მოსკოვი, 2 ნოემ. (რადიო).** მოსკოვში 10 ნოემბერს გაიხსნება სრულიად რუსეთის მეტალურგიული ყრილობა, სადაც არიან მოწვეულნი ყველა მეცნიერულ დაწესებულებიდან, საზოგადოებიდან და უმაღლეს სასწავლებლიდან.

# ლიტური.

ყირიმის ფრონტზე წითელი ჯარის შეტევა გრძელდება. მელიტოპოლში წითლებმა ხელთ იგდეს 8 ჯავშნიანი მატარებელი, 18 დაუზიანებელი ზარბაზანი, 100 ვაგონი სამხედრო სურსათით დატვირთული, 25 ორთქლმავალი და ორმილიონზე მეტი ფუთი ხორბალი.

სრულიად რუსეთის მელითონეთა ყრილობა შესდგება მოსკოვში ნოემბრის 10.

საფრანგეთის მემადაროებმა წაუყენეს შრომის მინისტრს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილება.

**ტყავის კეთება.**

**სარატოვი, 2 ნოემბერი.** ფორმსში დაიწყო მუშაობა ცხვრის ტყავის გადასაკეთებელმა ქარხანამ, რომლის შეკეთება ითავა საბჭოთა მთავრობამ. ქარხანა წელიწადში 10,000 ტყავს ამზადებს.

**ნავთსადენი**

**სარატოვი, 2 ნოემ.** ნავთსადენი მილის კეთება წარმატებით მიმდინარეობს.

ემბასა და ურალის შუა დაწყებულია ნავთსადენი მილის გაყვანა.

1921 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ამავე მხარეში მოათავსებენ სამ გადამცემ სადგურს.

**ბავშვებისთვის**

**კავკავი, 2 ნოემ.** ბავშთა დაცვის საბჭომ მიიღო ენერგიული ზომები ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აუცილებლაც სცვნეს შეიძინონ ბავშვებისათვის მანუფაქტურა, შეშა, სანოვაგე და სხვა.

**პურის დაგროვება თერგის ოლქში**

**კავკავი, 2 ნოემ.** იტყობინებიან, რომ მცხოვრებლეაი კეთილის თვალით შეყურებენ საბჭოთა სასურსათო პოლიტიკას და პირობას დებენ, რომ ხორბალი თავის დროზე იქნება დაგროვებულიო. კავკავის მაზრაში პურის და უმთავრესად კარტოფილის დაგროვების საქმე წარმატებით მიდის.

# საბჭოთა აზერბეიჯანში

**ლიტერატურა ოსმალურ ენაზე**

**ბაქო, 25 ოქტ.** ოსმალეთის კომუნისტური პარტიის კომიტეტმა ოსმალურ ენაზე შემდეგი ბროშურები გამოუშვა: „ლენინის ბიოგრაფია, რას წარმოადგენს საბჭოთა ძალა უფლება, რა არის ბალშევიზმი, რ. კ. პ. პროგრამა, ოს. კ. პ პროგრამა, ოსმ. კ. პ. წესდება“.

**სახელმწიფო დრამატიული სტუდია.**

**ბაქო, 25 ოქტომბერი.** ამ დღეებში გაიხსნა სახალხო განათლების კომისარიატის ქვეგანყოფილების მიერ სახელმწიფო დრამატიული სტუდია.

**დამრტყმელი კურსები.**

**ბაქო, 2 ნოემ.** იხსნება დამრტყმელი კურსები აღმოსავლეთ ხალხთა პროპაგანდის და მოქმედებიმ საბჭოსი, აღმოსავლეთის მუშების მოსამზადებლათ. კურსები არი ექვს კვარიანი. მაცადინეობა არის თურქულ და რუსულ ენებზე. კურსელები უზრუნველყოფილ არიან პურით და სანოვაგით.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა 1 ნოემბრისა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ საველე შტაბისა, მოსკოვი, 2 ნოემბერი.**

## ყირიმის ფრონტი.

**სამხრეთის ფრონტზე** ჩვენი შეტევა გრძელდება. მელიტოპოლში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 3 ჯავშნიანი მატარებელი და 10 გაწყობილი ზარბაზანი, ასი ვაგონი სამხედრო მასალებით დატვირთული, 25 ორთქლმავალი და 2 მილიონზე მეტი ფუთი ჰირნახული.

**ამხ. ტროცკი სამხრეთის ფრონტზე**

**მოსკოვი, 1 ნოემბ.** „პრავდა“-ში ტროცკი სწერს: „გიზგიზებს ცხარე მუშაობა: ხუთი არმია თავის მუხრუჭში ყოველ მხრიდან ჰყლეტს მოწინააღმდეგეს. იგი მოწყვეტილია ყირიმის კუნძულს. თან და თან ვიწროვდება მის გარშემო ცეცხლის სალტე. თუმცა ვრანგელი ჯერ არ არის გაცამტვერებული, მაგრამ მისი მთავარი ძალების ბედი გადაწყვეტილია. ეს დიდი გამარჯვება ისე დასრულდება როგორის წარმოებითაც დაიწყო იგი და ჩვენ მალე შევიჭრებით ყირიმში. საეჭვო არარის, რომ ჩვენი ჯარების გადამწყვეტი იერიშები სამხრეთით დაღეწავს ყირიმის კარებს. ჩვენი ცხენოსნების დანიშნულებაა, აღარ მისცეს მოწინააღმდეგეს საფრანგეთის გემებზე გადაბარგვის საშუალება და დრო. ვრანგელზე ჩვენი გამარჯვება მყისვე მოახდენს გავლენას საერთაშორისო მდგომარეობაზე პოლონეთის მთავრობამ თუმცა მოაწერა ხელი წინასწარ ზავის პირობებს, მაგრამ არღვევს საზავო პირობებს, შემოგვისია უკრაინის ტერიტორიაზე პეტლიურა, რომელსაც აშველებს ბალახოვიჩის და სავინკოვის რაზმებს. წითელი არმიის წარმომადგენლები მიუთითებენ ასეთ მოქმედებათა დაუშვებლობაზე, რაც მათ მიერ დაპირებულ ვალდებულებათა დარღვევას ნიშნავს. ყველა ამაზე პოლონეთის სარდლობა იძლევა ორაზროვან პასუხებს ან გაურბის პასუხის მიცემას. ბურჟუაზიული—შლიახტის პოლონეთი ზავზე ხელის მოწერის შემდეგ საფრანგეთის ბირჟის ბრძანებით სცდილობს განაგრძოს ჩვენთან ომი პეტლიურის, ბალახოვიჩის და სავინკოვის საშუალებით. ეს ახალი ავანტიურა დაწყებულია იმ იმედით, რომ მთელი ჩვენი სამხედრო ძალები გაწვეული იქნებიან ვრანგელის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მალე დარწმუნდებიან საფრანგეთ-პოლონეთის პროვოკატორები, რომ ისინი შეცდენ. ვრანგელის დღეები დათვლილია. ჩვენ ვუჩვენებთ ყველას, რომ რადგან ჩვენ სისხლის საფასურით გვიხდება ზავის ყიდვა, ამ შემთხვევაში ამ ზავზე ხუმრობის ნებას არავის მივსცემთ. ჩვენთვის სულ ერთია პეტლიურა თავის თავს უწოდებს პილსუდსკის თუ წინააღმდეგ—პილსუდსკი დროებით მიიღებს პეტლიურას სახელს. ჩვენ გვსურს ზავი და შევსძლებთ კიდეც მის მოპოებას. სამხრეთის ველმინდვრებზე უკვე ჩამოწვა პირველი ნაადრევი თოვლი. ამ თეთრ, დედამიწის საფენზე დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს წითლებმა კონტრ-რევოლიუციის ყველაზე უფრო განრისხებულ რაზმებს. ჩვენ ვსცემთ მათ, ჩვენ ვიმარჯვებთ; სალამი თქვენ, ძმებო, წითელ არმიელებო. მთელი ქვეყანა სულ განაბული, გულის თრთოლვით შემოგცქერისთ თქვენ. ქვეყანამ იცის და სწამს კიდეც რომ 7 ნოემბრის დღისთვის, ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავზე თქვენ ფართეთ გაუღებთ მას კარებს საბჭოთა წითელ ყირიმში შესასვლელათ.

**საბჭოთა რუსეთის და უკრაინის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი, 2 ნოემ. (რადიო).** რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარემ პროტესტით მიმართა პოლონეთის სამშვიდობო დელეგაციას, იმის გამო, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე გამოჩნდენ ზელიგოვსკის ბალახოვიჩის და სავინკოვის რაზმები. დროებითი ზავის პირობებისწინააღმდეგ—სწერს ის ნოტაში—პოლონეთის მთავრობას არ მიუღია არავითარი ზომები, რათა მის ტერიტორიაზე დაგროვილი ძალები შეჩერებია, რომლებიც ემუქრებიან რუსეთს და უკრაინას და ცემენ დროებითი ზავის პრესტიჟს. თავისუფალი გადაჯგუფება ამ ძალების პოლონეთის ტერიტორიაზე. სრულიად გაუგებარია და არღვევს დროებით ზავის პირობებს. ზევით ჩამოთვლილ პირობის მიხედვით რუსეთის და უკრაინის საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, პირველად ყოვლისა ზელიგოვსკის ჯარები რომელიც თვით პოლონეთმა აღიარა, არ ემორჩილებიან პოლონეთის სარდლობას. ხელს უშლიან მუდმივი ზავის ჩამოგდებას, უნდა იქმნეს გაძევებული პოლონეთის ტერიტორიიდან; მეორე, ბალახოვიჩის და სავინკოვის ჯარებიც უნდა იქმნენ განიარაღებულნი და პოლონეთიდან გაძევებულნი.

**ლიტვის სოც.-დემოკრატები პოლონეთის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი, 2 ნოემ. (რადიო).** ლიტვის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პოლონეთთან საბრძოლველად, რომელიც მაპი თქმით არიან მუშათა მასსების დამჩაგვრელები.

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. ის მუშების და გლეხების გაზეთია; როგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნისტიც“ დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! აღმოუჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

# საქართველოში

— **„ვისაც უნდა მიიღოს წარმატება, მან უთუოდ უნდა ჩაიდინოს ბოროტება“.** გაზ. „ერთობის“ № 246-ში "ვერხვი" შემდეგს იტყობინება: „ი. კიკაბიძე' რომელსაც სამტრედიის რაიონის რკინის გზის ყრილობამ უნდობლობა და ზიზღი გამოუცხადა, წარმატება მიიღო სამსახურში; იგი დანიშნულ იქნა თბილისში ახლად დაარსებულ მეორე პირველ-დაწყებითი სასწავლებლის გამგეთ. გამოდის რომ უნდა მიიღოს წარმატება, მან უთუოდ უნდა ჩაიდინოს ბოროტება“.

— **დიდი თოვლი.** გუდაურიდან გვატყობინებენ, რომ იქ დიდი თოვლი მოსულა. ავტომობილები ვერ გაივლის. გზა იწმინდება მაგრამ ამასთანავე მოდის ახალი თოვლი და გზას ისევ ავსებს.

— **თავისუფლება ვისთვის?** გაზ. „ერთობიდან“ შემდეგს ვტყობილობთ: ქ. ოზურგეთის „მილიციის უფროსი ვალოდია ესაძე, რომელიც ქალ. ბათომში იყო გადაყვანილი ბათომის ოლქის შემოერთების დღიდან ბათომის ქ. მილიციის უფროსის თანაშემწეთ და რომელიც გამოაძევეს მექრთამეობის გამო, დღეს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, ისევ ძველ ადგილს თხოულობს ქ. ოზურგეთში,—მასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ., ზემოაღნიშნული პიროვნება ისევ ძველებურად დადის ქალაქის ქუჩებში თავისი „პარაბელუმით“. განა ასეთს პიროვნებას იარაღის ტარების უფლება უნდა ქონდეს?

— **საზიზღარი მკვლელობა.** „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტი იტყობინება: **„სოფელ ბილაშის** (ზემო იმერეთი) მახლობლათ, ეგრედ წოდებულ „ღვითრის ჭალებში“ მეტად გულშემზარავი ამბავი ჩაიდინეს ბოროტმა ადამიანებმა. ვინმე მოჩიტაძე ცეცხლით აწვალეს და ისე მოჰკლეს. მკვდარი ცეცხლ მოკიდებული დასტოვეს და თითონ გზას გაუდგენ“.

# პარტიული ცხოვრება

## თბილისი

### პირველ რაიონის ორგანიზაციული მუშაობა

პირველ აგვისტოდან 15 სექტემბრამდის რაიონულ საბჭოს ქონდა 9 სხდომარაიონის საბჭოს ბიუროს 5 სხდომა. მოხსენების და ლექციების მოსასმენად პარტიის წევრები გაყვეს ორ ჯგუფად—რუსები და ქართველები.

იაჩეიკის წევრების კრება ხდებოდა 4 ჯერ კვირაში. ლექციები იკითხებოდა ორჯერ ქართულად და ორჯერ რუსულად კვირაში.

ლექციები წაკითხულია შემდეგ თემაზე:

1. მიმდინარე მომენტი.
2. საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია, ა) სარწმუნოება, ბ) სახელმწიფო და ეკლესია და ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.
3. პარიზის კომუნა.
4. კლასთა ბრძოლა და კლასიური ინტერესი.
5. რა არის სამუშაო ქირა და რაზე ეყრდნობა ის.

პირველ სექტემბრიდან მუშაობამ დაიკლო, ვინაიდან მოხდა შტატის შემცირება რკინის გზაზე. ადმინისტრაცია მუშაობდა საღამოობით, რის გამო ამხანაგები მოკლებული იყვენ საშვალებას დასწრებოდენ ლექციებს.

**მუშების სულისკვეთება.**

მიუხედავათ მკაცრ რეპრესიებისა, მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშები მაინც განაგრძობენ პარტიულ მუშაობას. მოწინააღმდეგეების პარტიაში არის დიდი უკმაყოფილება ეკონომიურ ნიადაგზე.

მენშევიკ მუშებს აქვთ სურვილი მოისმინონ ჩვენი ლექციები, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ დასწრებას.

**პარტიულ სამკითხველოს მუშაობა.**

სამკითხველოს დაარსების დღიდან, ამხ. ს. წულუკიძის სახელობაზე, ე. ი, 7 მაისიდან 15 ოქტომბრამდის, სამკითხველოში მოსულა 1295 წევრი.

სახლში არის წაღებული წასაკითხავად 495 წიგნი, 290 ამ წიგნებიდან დაბრუნებულია, 169 კი რჩება ამხანაგების სასარგებლოთ, ამ რიცხვში შედის 95 ჟურნალი, 263 სააგიტაციო და 137 მეცნიერული წიგნი. მაგრამ ვინაიდან შენობა ძალიან ვიწროა, ამხანაგები მოკლებული არიან საშვალებას საღამოიბით იკითხონ სამკითხველოში.

—

**მე-4 რაიონის მე-17 იაჩეიკის კრება**

26 ოქტომბერს შესდგა მე-4 რაიონის მე-14 იაჩეიკის კრება.

დღის წესრიგი იყო:

1) მოხსენება მე-III ინტერნაციონალის მე-II კონგრესზე,
2) მდივნის და ხაზინადრის არჩევნები.
3) განცხადება ამხ. ვ—ლ.

მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. რომელიც ნათლათ აღნიშნავს მნიშვნელობას I და II ინტერნაციონალისას და შემდეგ გადადის მესამე ინტერნაციონალზე, რომელსაც მომხსენებელი ვრცლათ ახასიათებს, როგორც საერთაშორისო მუშათა ინტერესების დამცველს.

შემდეგ მომხსენებელი იხება როგორც სურსათის აგრეთვე მანუფაქტურის განაწილებას ყოველმხრივათ მცხოვრებლებზე საბჭოთა რუსეთში. რამაც მსმენელები დიდ აღტაცებაში მოიყვანა. მოხსენება კრებამ ფრიად დამაკმაყოფილებლად სცნო.

2) იაჩეიკის მდივნად ერთხმად არჩეულ იქმნა ამხ. ვ—დ. ხაზინადრად ამხ. შ. აირჩიეს რა ხაზინადარს კრებამ დაავალა: შემდეგ კრებაზე ხაზინადარმა მოკრიბოს იაჩეიკის წევრთაგან თითო დღის ნამუშავარი გაზეთ ახალ კომუნისტის ფონდის გასაძლიერებლათ.

3) მოისმინა რა კრებამ მოხსენება ამხ. ვ დ, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა რომ იაჩეიკის წევრნი ხშირად არ ესწრებიან კრებას, რაც არავითარ შემთხვევაში დასაშვები არ არის, იაჩეიკამ დაადგინა, რომ შემდეგში უფრო ენერგიულად და სისტემატიურად იქნეს ასრულებული ყოველივე დადგენილება.

**თავმჯდომარე შ. მდივანი ვ—დ.**

—

**თბილისის მე-4 რაიონის მე-10 იაჩეიკის სხდომა.**

თბილისის მე-4 რაიონის მე-10 იაჩეიკის კრება იქმნა მოწვეული 22 ოკტომბერს ამა წ.

დღის წეს-რიგი იყო:

1) მოხსენება თ. კ.
2) პრესა.
3) ორგანიზაციული საკითხი.

1) მოვისმინეთ რა მოხსენება თ. კ., ჩვენ მე-10 იაჩეიკის შემადგენლობა უცხადებთ სრულ ნდობას და ჩვენც მასთან ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

2) ჩვენ მე-10 იაჩეიკის წევრნი აღფრთოვანებით ვეგებებით ახლად გამოსულ გაზეთს „საქ. კომუნისტს“ რუსულ ენაზე ვინაიდან ეს გაზეთი არის მხოლოდ მუშათა ინტერესების დამცველი. და სიმართლის მაღიარებელი, და უსურვებთ მას ხანგრძლივობას, როგორც მუშათა ორგანოს აგრეძვე უსურვებთ ხანგრძლივობას პროლეტარულ რევოლიუციის ხელმძღვანელთ.

ჩვენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციის წევრნი არასოდეს არ დაუშვებთ იმ წითელ დროშას ძირს, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს მთელი პროლეტარიატს.

მაშ გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს, ძირს მე-2 ყვითელი ინტერნაციონალი, და მისი მიმდევარნი.

3) ვიქონიეთ რა მსჯელობაა ორგანიზაციულ საკითხზე, დავადგინეთ, რომ მჭიდროთ ვიყვეთ დაკავშირებულნი რაიონებთან და ყველა უმაღლეს ორგანოებთან ვინაიდან ეს ჩვენივე ინტერესებს შეადგენს ამასთანავე დავადგინეთ რომ ყოველივე წევრი მტკიცედ იდგეს სიმაღლეზე.

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

**პასუხათ გაზ. „რკინის გზელის“ „ძველ მუშას“.**

გაზეთ „რკინის გზელში“ მოთავსებულია წერილი ვინმე „ძველ მუშის“, რომელიც კომენტარიებს უკეთებს წერილს, რომელიც იყო მოთავსებული „ახალი კომუნისტის“ მე-70 ნომერში სათაურით „რა უნდა აკეთონ რკინის გზელებმა“. ის გვწამებს: ვითომდა ჩვენ ვსტყუოდეთ, როდესაც ვამბობთ, რომ უკანასკნელ შტატის შემოკლების დროს უმრავლესობა ჩვენი ამხანაგები მოყვენ-თქო.

არც თვითონ არის დარწმუნებული თავის ლათაიებში და უმატებს, „ჩვენ ჩვენი პარტიული რწმენის მიუხედავათ ვითომდა ვითხოვდათ ყველა ლოთებს, სპეკულიანტებს და ორგულებსო“—და რა ჩვენი ბრალია, თუ ბატონ კომუნისტებს ასეთ ხალხში ჰყავდათ თანამგრძნობებიო“.

სტყუით „ძველო მუშავ“, როდესაც ამბობთ, რომ ითხოვდით ყველა ზევით ჩამოთვლილ თვისებებით აღჭურვილ პირებს. დაიწყნარეთ გული „ძველო მუშავ“ და კარგა დაკვირვებით გადახედეთ, თუ არიან ასეთები ჩვენს ამხანაგებს შორის. უკანასკნელის გამოკლებით „ორგულნიო“,—რომ ამბობთ, ჩვენი ამხანაგები არიან და იყვენ თქვენი არა მარტო ორგულნი, არამედ მოწინააღმდეგეც.

ჩვენ არ გვაკვირვებს, როდესაც თქვენ ამბობთ ჩვენს ამხანაგებზე ყველა ზევით ჩამოთვლილს. ჩვენ გვახსოვს, თუ რას ამბოდით ჩვენ ამხანაგებზე, როდესაც მათ ატუსაღებდენ. უწოდებდით ყაჩაღებს, ქურდებს და სხვას რამდენს, მაგრამ ყველა ესენი გაგიმტყუნდათ.

ახლა ასეთნაირათვე იქცევით ქუჩაში გაყრილ ჩვენს ამხანაგების მიმართ, თუმცა ნაკლებ სუსხით. იარეთ ნაცადი გზით.

არც ჩვენ შეუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენათ იცავთ თქვენ მუშების ინტერესებს და რამდენათ გითანაგრძნობენ მუშები თქვენ. მხოლოდ ამას კი გეტყვით, დაანებეთ თავი სხვისი თრევაგინებას, შორს ნუ მიდიხართ. დაიხედეთ თქვენს თავზე.

**რკინის გზელი.**

—:—

# საზღვარ-გარეთ

## პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა.

**გერმანიის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მოწოდება.**

**რეველი, 16 აგვისტო.** მოწოდებაში, რომელიც 8 აგვისტოს გერმანიაში გამოაქვეყნა თავისი ხელმოწერით: გერმანიის პროფესიონალურ კავშირების საბჭომ, მეუმრავლესე სოციალისტების პარტიამ, დამოუკიდებელმა სოციალისტებმა და გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ, სწერია:

„დღითი დღე ხშირდება ხმები, რომ ანტანტა აგროვებს თავის ჯარებს რეინის მიდამოებში, რომ იქ გროვდება სამხედრო მასალები და სურსათ—სანოვაგე, რომელსაც ანტანტა უგზავნის პოლონეთს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში მისაშველებლათ.

უკეთუ ანტანტა მოახერხებს ჯარების გადაყვანას და საომარ მასალის გადატანას გერმანიის ტერიტორიაზე, ეს გერმანიის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევას უდრის, რაც გერმანიას საომარ მოქმედების ასპარეზათ გადააქცევს. გერმანიის მშრომელმა კლასმა მთელი თავისი ძალ-ღონით ხელი უნდა შეუშალოს ამას; ამისთვისაც ჩვენ მოუწოდებთ გერმანიის მუშებს ყოველგვარი საშვალებით წინაღუდგენ ანტანტის ცდას გერმანიის ტერიტორიით ჯარების გადაყვანაზე და საომარ მასალების და ამუნიციის გადატანაზე. რკინის გზის და ტრანსპორტის მუშებმა უკვე შეიგნეს ეს ხიფათი და დიდ სიფრთხილესაც იჩენენ. ისინი უნდა დარწმუნდენ, რომ მთელი მშრომელი კლასი მათ მხარს უჭერს, ჩვენ მტკიცეთ გვრწამს, რომ საფრანგეთის და ინგლისის მუშებიც შეიგნებენ თავის საერთაშორისო მოვალეობას და ბოლომდის დაიცავენ მას. მზათ იყავით!.. გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას.

საფრანგეთში ამისდაგვარი მოწოდებები გამოუშვა შრომის კონფედერაციამ და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიამ. ასევე მოიქცნენ იტალიის მუშებიც.

**ინგლისის და საფრანგეთის სამთამადნო მუშების განცხადება.**

**რეველი,** 16 აგვისტო. გაზ. „ბერლინე ტაგებლატის“ კორესპონდენტი 7 აგვისტოდან იუწყება, რომ ინგლისის და საფრანგეთის სამთამადნო მუშები გაფიცვებით იმუქრებიან, თუ რურის ოლქი იქნება დაკავებულიო.

უკანასკნელი რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ მიღებული იქნება 5 ოქტომბერს ლონდონში საერთაშორისო სამთამადნო მუშების აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე. რეზოლიუციის პირველი რედაქციაში მოხსენებული იყო, რომ გაფიცვები დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო ომს გამოაცხადებსო. გერმანიის დელეგატების წინადადებით რეზოლიუციის რედაქცია შესცვალეს. შეცვლილი რედაქცია აღნიშნავდა, რომ გაფიცვები მაშინ გამოცხადდეს, როდესაც რომელიმე მთავრობა აგრესიულ საომარ პოლიტიკას გამოიჩენსო. ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილება ყრილობის დახურვის წინ.

**დანციგის პროფესიონალურ კავშირების დადგენილება.**

**რეველი,** 16 აგვისტო. ბერლინის კორესპონდენტს როსტას 15 აგვისტოდან ცნობით, დანციგის პროფესიონალურ კავშირების საბჭომ გამოიტანა შემდეგი მუშებისათვის სავალდებულო დადგენილება: ყველა დარგის მუშებმა ხელი უნდა შეუშალონ პოლონეთს მის რეაქციონურ მისწრაფებაში, რუსეთთან ომში.

# პროვინციის ცხოვრება

**ხიდისთავი (გურია).**

**„ხიდი კეთდება“.** მდ. ხიდისთავს ჩამოუდის მდ. გომაზოული, რომელზედაც გადებულია ღიდი ხიდი დაახლოვებით 15 წელიწადია, რაც ეს ხიდი დამპალია, და მის შესაკეთებლათ ამ ხნის განმავლობაში იკრიბებოდა დახმარება. მაგრამ ხიდის გაკეთებას კი ვერ ვეღირსეთ. დაბოლოს გამოირკვა, რომ ამ ფულებიდან ერთი შაურიც არ არის დარჩენილი. ეს ხდებოდა რევოლიუციამდე. რევოლაუციის შემდეგ რასაკვირველია „დემოკრატიული რესპუბლიკა“ არსებობს და ეჭვიც არავის შეპარებია მასში რომ ხიდს მთავრობა გააკეთებდა, თანახმად პროგრამა მინიმუმის, ერთი მუხლისა. მაგრამ ყველასათვის ცხადია, თუ დღევანდელი მართველი პარტია, როგორ ასრულებს თავის დაპირებას.

უკანასკნელად ირაკლი ქორიძის და ბარ. მეგრელიძის ენერგიული მუშაობით ქალ. თბილისში და ბათუმში შეგროვილ იქნა დახმარებები დაახლოებით რამოდენიმე ასი ათასი მანეთი. შეიძინეს აგრეთვე რკინები. მაგრამ სამწუხაროდ ეს ფული და რკინები დღესაც გაჩერებულია; ამბობენ ინჟინერს ველითო, მაგრამ ყოვლად შეუძლებელი შეიქნა მისი მოსვლა; ხიდზე გასვლა კი დიდათ საშიშია, მით უფრო, ღამე, და ტეხა-კრების დროს ტვირთიანი კაცის,—თვითონ მე ვიყავი მოწამე:—15 დღის წინეთ ღამე, მდ. დამპალ-ძელში ჩავარდა ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც შემთხვევით გადარჩა დახრჩობას. ასეთი შემთხვევა კიდევ მომხდარა, და შემდეგშიაც განმეორდება და კიდევ ვინმეს იმსხვერპლებს, რომლის მიზეზი აუცილებლათ ადგილობრივი თემის გამგეობა იქნება. მარტო სიტყვა „კეთდება“ კი არ არის საჭირო, არამედ საბოლოოთ გაკეთება.

**—ლი.**

**დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.**


# განცხადებანი

გამომცემლობა

## „წითელი ვარსკვლავი“

**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

**იბეჭდება:**

7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.

**დამზადებულია დასაბეჭდათ:**

8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის ბირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.


სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.